სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 705
დამატების № 124
კვირა, 23 სექტემბერი 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლევანდელ სეზონის გამო

გ. გედევანოვი.

ძ. მესხი.

სიჩუმის გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

ვ. პესგუდისა.

ვ. გუნია.

წყნარი დღე იწურებოდა, მზემ გადაიხარა დასავლეთისაკენ, მაგრამ ჰაერი ისევ შეხუთული იყო. გზის ქვეყნის დიდებული ქალაქი ტირი, რომელსაც ზღვათა მპყრობელს უწოდებენ—ისვენებდა დღიურ შრომისაგან და ღამის შესახვედრად ემზადებოდა. სწორედ ამ დროს სახელ-განთქმულ მატტანის სახლში, იმის შვილობილი სახელოვანი ქანდაქარი მირბალ, მოუსვენრად დადიოდა თავის სამუშაო ოთახში.

— კიდევ არა, სრულიად ის არ არის, რაზედაც ოცნებობდი! ო, ღმერთებო!—ბუტბუტებდა ის დაფანტული და შეჰყურებდა თაროზე მწკრივად დალაგებულ ლარნაკებს, თასებს, ამფორებს და ბადიებს, თიხისა და შუშისაგან გაკეთებულებს.

— რამდენი მძიმე შრომა, რამდენი უძილო ღამეები, რამდენი იმედები და აი... მაშინაც არ ვიყავი კმაყოფილი, როდესაც თიხა ღებულობდა ფორმას ჩემს ხელში, არ ვიყავ კმაყოფილი, იმიტომ რომ გულში იჭვი მეპარებოდა ჩემის ნაშრომის სრულყოფისა.

— „მაგრამ მაშინ ბავშვსავით ვიმედოვნებდი: ფორმის ნაკლულევანება გამოსწორდება შეღებვის დროს. თიხას გადაეფარება გამჭვირვალე ლაჟვარდი საღებავი, ცისფერი, როგორც ზღვის ტალღები, როგორც ცის სიღრმე. იმ ლაჟვარდიდან აქა-იქ გამოანათებს, ძლივს შესამჩნევად, ყვითელი და მწვანე ნიშნები. ეს ნიშნები მისცემს ლაჟვარდს სიღრმეს და ჰაეროვან შეხედულობას. ლაჟვარდს ზემოდან დაეფინება მუქი მწვანე ფერი ხეებისა და ღია ჯიგარი ჩამავალი მზისაგან გაბრწყინებულ კლდეებისა. მთვლემავ ზღვის ზენა-პირად გადათეთრდება სამყური იალქნებით, უცხო ქვეყნისკენ მიმცურავ ნავებისა—და ყვითელ ნაპირზე რძისა და ვარდის ფერი სხეული ადამიანებისა.

„მაგრამ აი დახატული ლარნაკი სდგას ქურაში გამოსაწვავად, მინად ქცეული ფერადები საუკუნოდ ცოცხლად დარჩება მაზედ.

„წითლდება თიხა სიმხურვალისაგან. ინთება და ჰქრება ნაპერწკლები ცეცხლისა. ბული გამოდის ქურიდან, სადაც იწვის ჩემის ხელით შექმნილი ჭურჭელი და ჩემს დაღლილ სულს თანდათან სძლევს მოუსვენრობა, თანდათან მაკლდება რწმენა რომ ჩემი ნაშრომი ისეთი გამოვა, როგორზედაც მე ოცნებობდი. არც ფორმაა ისეთი, არც მხატვრობა!

„დიახ, რასაკვირველია, ხვალ ვაჭრები, რომლებიც მიემგზავრებიან ტყვიის კუნძულის ღრუბლიან ნაპირებისაკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნლევანდელ სეზონის გამო

ლ. აბდუშელი.

ფ. ბერიშვილი, ადმ ნისტრატორი.

ბ. მატარაძე.

ქ-ნი ლიზლუ.

ქ-ნი თ. გოგოლაშვილი.

ქ-ნი შოთაძე.

ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილი.

ნ. ციციშვილი.

შორს ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, ანუ დიდებულ ნილოსის ყვითელ სილისაკენ ანლოტორის მხარეს, კოლხისის კლდეებისაკენ, ანუ ხვარშაგოვან ბერის ვაკესაკენ — შეებრძოლებიან ერთმანეთს ჩვენის ქარხნის ბეჭედ დასმულ ჭურჭლებისათვის, რადგან ყველაფერი, რაც გამოდის სავაჭრო მოედანზე ამ ნიშნით: ორი ჩაქუჩი, ზევით მიტრა, გვირგვინით და ქვევით სამი ჯაჭვი,—არის მატტანისა და ერთად-ერთი მემკვიდრე ტირის უწინდელ მპყრობელისა.

„ყველა ამას ფასი აქვს ვაჭრებისათვის; ეს წარმოადგენს უმთავრეს ნამყოფს სატახტო ქალქ ტირის ქარხნისას, რომელიც არსებობს ეს ორასი წელიწადია. ქარხანა მატტანის გვარეულობისა, ქანდაქრებისა და ხელოსნებისა.

„ყოველთვის აუარებელ ოქროს აძლევენ ვაჭრები მოხუც მატტანს და ამ ოქროში ჩემი წილიც ურევია, რადგან მატტანი მე მთვლის თავის მემკვიდრედ, აფასებს ჩემს ხელოვნებას, მაგრამ მე თითონ განა კმაყოფილი ვარ ყველა ამითა?

„არა! ო, ღმერთებო! ათასჯერ არა!

„რადგან, როდესაც ჭურჭლები გამოვიღე ქურიდან და გაციებულნი, მხედრებივით, დავამწკრიე აი, ამ თაროზე—შევამჩნიე ნაკლი, შეცდომები, ყველა შეუსრულებლობა ფერისა და ფორმისა.

„მაგალითად, აი ამ ლარნაკისათვის რომ უფრო ვიწრო და მაღალი ყელი გამეკეთებინა,—მსუბუქი, მოხდენილი და ლამაზი იქნებოდა. ეხლა კი ვიწრო ფეხზედ შეუფერებელი ტანი, ასე მგონია, თავის თავად იზრდება სიმძიმისგან.

„დიახ ეს არის შეცდომა და ჩემი დანაშაული.

„მე შემიძლიან გავიმართლო თავი: როდესაც ამ ლარნაკს ვაკეთებდი ნიმუშად ავიღე ურა მატტანის ნამუშევარი, ამ ქარხნის დამფუძნებელის, რომელსაც ხალხი „დიდებულ ურას“ უწოდებდა.

„მაგრამ ური სცხოვრობდა და მუშაობდა ორასი წლის წინედ. მაშინ, რასაკვირველია, იმის ნახელოვნები სრულყოფილი ეჩვენებოდათ. იმის შექმნილი იმ დროს ახალი სიტყვა იყო კეთილშობილურ ხელოვნებაში, რომელმაც ცამდის აიყვანა—ფინიკიელები. ჩვენთვის კი ის ეხლა ძველია.

„ურ, თუნდაც ჰენიოსი ყოფილიყოს, მაინც იმის თვალები ვერ დაინახავდნენ მას, რასაც ეხლა ხედვენ იმის შვილიშვილები, ესენი ეძებენ ხელოვნებაში ახალ ელემენტებს სილამაზისას და პოულობენ კიდეც. ჩემი ლარნაკი კი ასლია იმ ლარნაკისა, რომელიც ურს გაუკეთებია ამ ორასი წლის წინედ, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მონური მიბაძვაა იმისი.

„ურმა არ იცოდა ისეთი თიხის შეზავება, როგორიც ვიცი მე. იმის თიხა იყო მძიმე, ფხვიადი და ძალაუნებურად სქელკედლიანი ჭურჭელი გამოდიოდა. მას არ შეეძლო გაეკეთებინა თხელი, ვიწრო, როგორც ზამბახის ღერი, დოქის ყელი. არ შეეძლო გამოექანდაკებინა წვრილი ხელი ფინჯნისა—ისინი დაიმსხვრეოდნენ ხელის მიკარებისათანავე.

„ჩემი თიხა ბევრად უფრო მტკიცეა, ძარღვიანი.

„მაშ რაღად ვაკეთებ ისეთ უშნო ლარნაკებს, როგორსაც ამ საუკუნის წინედ აკეთებდა თავის დროის დიდებული მექანდაკე?

„ეს ხომ სისულელეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის მეღვინეობა საზოგადოება „კახეთი“



ღვინოების გაგზავნ-გამოგზავნა.

სარდაფის ერთ-ერთი კუთხე.

„საღებავები?!

„ურის განკარგულებაში იყო ოთხი, სულ დიდი, ხუთი ფერი საღებავისა. იმიტომაც იმის ყვავილების გამმა იყო ღარიბული, ბავშვური. მე ვმუშაობ ოც და ათი სხვა და სხვა ფერი საღებავით—ეს ნებას მაძლევს მრავალ-ფერად შეხამებისას.

„მაშ რად მეშინიან გამოვიყენო ეს საუცხოვო გამმა? რისთვის ვერა ვბედავ, მაგალითად, კლდის აღსანიშნავად ვიხმარო თუნდაც ეს ჩემგან შემთხვევით აღმოჩენილი საღებავი, რომელიც მუქს აცხოველებს იის ღია ფრად და ღია ფერს—ოქორო—ვარდის ფრად. რაღად ვხმარობ ასვალტს ჩრდილის აღსანიშნავად, რომელიც მე თითონ ცისფრად მეჩვენება?

„ხალხს მივაჩნივარ გამოჩენილ მექანდაკედ, მაგრამ სცდებიან:—მე არარა ვარ, საბრალო მონა, რომელსაც ვერ გაუბედნია დაამსხვრიოს ჯაჭვი მონობისა!

„მაგრამ, ღმერთებო! ამას მოეღება ბოლო; მე მოვიშორებ ამ ჯაჭვს მალე, ძალიან მალე! მე მიყვარს და პატივსა ვსცემ ჩემს მამას, მოხუც მატტანს, თითქმის ერთად ერთს მოქანდაკეს მთელ ტირში, რომელმაც შეინარჩუნა ძველი დროის საუკეთესო ხელოვანთა აღთქმა.



ღვინის გაწურვა და ჩამოსხმა.



ბოჩკების საკუთარი სახელოსნო.

„მაგრამ სანამ მე სრული პატრონი არ გავხდები ამ სახელოსნოსი, სანამ მატტანს არ გადმოუცია ჩემთვის მთელი საქმე ჩემი საყვარელი ილისსისა, მანამ ვერ გავბედავ განვაცხოვლო ჩემი ოცნებანი: ხელოვნებაში ახალი ელემენტის შეტანა. მეშინიან გამოკვლევისათვის ძვირფასი მასალის დახარჯვა, იმიტომ რომ ეს არის მატტანის საკუთრება. ვერა ვბედავ დროს დაკარგვას, იმიტომ რომ ეს დრო მარტო მე არ მეკუთვნის.

„მერე კიდევ მოგზაურობა...

„ოჰ, ღმერთებო! როგორ მიზიდავს მე მოგზაურობა. უცნობი ძალა მიზიდავს საოცნებო მხარისაკენ... იქ, სადაც, შორს ნაპირს მოადგებიან ჩვენი მეზღვაურნი სწრაფის ნავებით.—ან იქითკენ, სადაც ჯერ კიდევ მიუკვალია ის ნაპირები!

— ვის ელაპარაკები აქ, ძირბალ?—მოისმა, სავსე სინაზით და მელოდიით, ხმა ახალგაზდა ქალისა და კარებში გამოჩნდა ახოვანი ტანის ლამაზი საცოლე მირბალისა მატტანის ქალი.

მირბალ შეკრთა. ფიქრებში გართულმა, ვერ შეამჩნია ახალგაზდა ქალის მოსვლა.

— ო, ილისს! — წამოიძახა მან აღელვებით.—შეხედე, რა გამოვიდა ჩემი შრომისაგან!

მან მიუთითა თაროზე დაწყობილ ჭურჭლებზე.

— ვხედავ—სთქვა ქალმა და და უყურადღებოდ გადაჰხედა ჭურჭლებს.—მე ყველას ვხედავ, მირბალ! და განა აქ არის ახალი რამ, რომლის გაკეთებას არ დავსწრებოდე და შენის მუშაობისათვის არ მემზირნა?

— ახალი? — მწარედ წარმოსთქვა მირბალმა.—კიდეც ეგ არის, რომ ახალი აქ არაფერია. ჩემო ძვირფასო, ყველაფერი ძველია, დიდიხნის ნაცნობი, ისეთი, როგორც ამ ორი საუკუნის წინად იყო. ნაცნობი, მარტო შენთვის კი არა, ჩემის რჩეულისა, რომელმაც იცი ყოველი ჩემი სულის მოძრაობა, არამედ მთელი ქვეყნისათვის... უბედურებაც ეგ არის, რომ მე კიდევ ვერ მოვახერხე ჩემი ოცნების განხორციელება.

— კიდევ მჭმუნვარება?—ჩუმის ყვედრებით წარმოსთქვა ქალმა, ნაზად დაადო მხარზე ნებიერი ხელი და ნდობით შეაცქერდა თვალებში... ო, მირბალ! სევდით მოცულია შენი ფიქრები, ის იჭვსა ჰბადებს შენს ძალაში და მჭმუნვარებით ავსებს შენს გულს! ეგ ხომ სულმოკლეობაა, მირბალ! დავიწყებას უნდა მისცე თავი, უნდა მოისვენო! მე მოვიტანე კიფარი... გინდა ვიმღერო შენი საყვარელი ხმები?

„მე გიმღერ შენ იმ შორს მხარეზე, სადაც ცხოვრობს შავი ხალხი, სადაც მდინარის შლამი გაჟღენთილია ოქროთი. სადაც ხის ტოტზე ქანაობენ ათასფერიანი ჩიტები და გალობენ საამურ ხმებს. სადაც, ჰაერში დაჰფრენენ ათას ფეროვანი, ცოცხალი ყვავილებსავით დიდრონი პეპელები.

„დაჯექ ჩემს გვერდით, მირბალ! აი, ასე!

„შენ დაიღალე და მოსვენება გეჭირვება. დაისვენებ და შემდეგ შენ თითონ გაგეცინება დღევანდელ მეშმუნვარეობაზე, იჭვებზე და ათვალწუნებაზე.

„გაიგონე, ჩემო მფლობელო, ჩემგან რჩეულო!

„მე შენ გიმღერ ღრუბლიან ჩრდილოეთზე, იმ მხარეზე ქვის ჭიშკრის გაღმა, სადაც დასცურავენ ჩვენი ხომალდები ტყვის და კალის საპოვნელად. ამბობენ იქ ისე ცივა, რომ წყალი ზენა-პირზე შუშასავით მაგრდება და მასავით გამჭვირვალეა.

„ამბობენ, ჰაერი სავსეა ტალღების მსგავს ღრუბლებით ჯ ხშირად ორი ადამიანი ახლოც ერთმანეთს ვერ არჩევს. ღრუბლებში იმალებიან ათასგვარი აჩრდილნი ჯ მოჩვენებანი. ეს თურმე სულია მათ წინაპართა. მეზღვაურებს ესმისთ ხმები ამ მოჩვენებისა, რადგან როდესაც ქარიშხალი ატყდება, ისინი საცოდავად ჰკვნესიან. ისინი დაძრწიან აბობოქრებულ ზღვის პირად და მეზღვაურებს ხსნას ევედრებიან: სთხოვენ დაიხსნან ისინი ამ საშინელ ღრუბლებისაგან და წაიყვანონ იქ, სადაც მზეს მუდამ კაშკაში გააქვს, სადაც ცა მუდამ ფირუზის ფერია.

„მაგრამ ვაი იმ მეზღვაურს, რომელიც აასრულებს ამ თხოვნას: გემს ყოველი მხრიდან შემოესევიან ეს აჩრდილნი, აავსებენ ჯ ისიც, ტყვიით დატვირთულივით, ველარ უძლებს ამ სიმძიმეს, ჩასძირავს ზღვის უფსკრულში და სამუდამოდ იკარგება.

„ზღვის ძირი სავსეა ათასგვარი რვა ფეხიანებითა. ამათი თითო ფეხის სიგრძე უდრის მანძილს სამჯერ ნატყორცნ ისრისას. თვალები ბოროტის ცეცხლით უბრწყინავთ და სიდიდით უდრიან პატარა ტბას, ხანდახან ისინი ამოცურდებიან ზედა-პირზე და მეზღვაურები შეცდომაში შედიან, ჰგონიათ კუნძული, მაგრამ ვაი იმ გემს, რომელიც ამ საშინელ კუნძულს მიუახლოვდება: დროს შერჩევით ის მოხვევს თავის გრძელ ფეხს, მოითრევს ახლო და მთელ გემს, დატვირთულს ჰყლაპავს.

„კიდევ არის ამ საშინელ ზღვაში ერთგვარი თევზი, სახელად ბაალ-ლეა, რომელიც შობს შვილებს და თავის ძუძუთი ზრდის. ის ისეთი დიდია, რომ თვით უდიდესი მთა პატარა გორაკათა სჩანს მასთან შედარებით, ამიტომაც მას არ შეუძლიან ოკეანიდან ჩვენს წყალში გამოსვლა. ქვის ჭიშკარი ერთობ ვიწროა იმისთვის. გაშლილ ოკეანეში კი თავისუფლად სცურავს. ხან და ხან ღრმა ძილი მოიცავს მას და ამ დროს ზენა-პირზე ამოიტივტივებს. სძინავს ათი საუკუნე—ჩვენთვის ათი საუკუნე იმისთვის ერთ დღესა ნიშნავს.

„ამბობენ იყო შემთხვევა, როდესაც უმეცარმა ხალხმა დაინახა ეს უზარ-მაზარი სხეული მძინარ ბაალ-ლეასი—ხმელეთად მიიღო. გააშენეს, ამ მძინარ მხეცის ზურგზე, ქალაქი, დიდებული ტაძრები, ძეგლები და სცხოვრობდენ ბედნიერად. მაგრამ მოახლოვდა დრო, გავიდა ათი საუკუნე და ბაალ-ლეასაც გამოეღვიძა. გამოღვიძებისას ერთი მძლავრად ამოისუნთქა ყელის გასაწმენდათ და ამის ნესტოებიდან ორი დიდი შადრევანი ცათამდის ასწვდა. იქიდან ჩამონადენი წყალი ესხმის ზურგზე ბაალ-ლეას და ათი საუკუნით ნაშენი ქალაქი ერთ წამს ჰქრება ამის ზურგიდან. ტყეები, ამწვანებული ბაღები და დამუშავებული მინდვრები ერთბაშად მოირეცხა და შთაინთქა ოკეანის სიღრმეში. ერთხელ კუდის ბოქნევით მოიწმინდა ზურგი, შემდეგ ორჯელ შეინძრა ეს უდიდესი სხეული ბაალ-ლეასი და ჩასცურდა ოკეანის სიღრმეში, რომ გაძღეს იქ ჩაძირულებით.

„გაიგონე ჩემი სიმღერა, ჩემგან რჩეულო!

„მე შენ გიმღერებ უდიდეს გველზედ—ის გაჩენილა ჩვენ ქვეყანასთან ერთად და ცხოვრობს ოკეანში.

„კიფარის“ სიმები, ილისსის წვრილ თითებ ქვეშ, ნაზად და მელოდიურად ჟღერდნენ და გამოსცემდნენ ჰარმონიულ აკორდებს. ილისს არ იმღეროდა, ის უფრო ენა-მჭერვობდა უძველეს ლეგენდებს და ქალწულის ნაზი, მელოდიური ხმა ოცნების ტკბილ ბურანში ახვევდა მირბალს. ის შესამჩნევად დამშვიდდა, სევდით მოცული იმის უკმაყოფილო სული დაწყნარდა, მძიმე და სევდიანი გრძნობები შეეცვალა ახალ, ბრწყინვალე და სასიამოვნო გრძნობებად. განიერ სარკმელიდან უხვად შემოჰკრთოდნენ ჩამავალი მზის სხივები, მოსჩანდა ღია ცა, ზურმუხტის ფერი ზღვა, რომლის ზენა პირი გადათეთრებული იყო იალქნებიან ნავებით. ლაჟვარდ ტალღებზე მარდათ მისცურავდნენ თავ-გამოდებულნი ფინიკიელები, რომელთაც მთელი ქვეყანა დაიპყრეს ვაჭრობით. მოსჩანდა ნაპირი, მასზე გაშენებულ ტირის პატრიცნების სასახლეებით და ბაღებით. მთელი მიდამო წარმოადგენდა რაღაც ზღაპრულს, თეთრ მარმარილოს ქალაქს.

— ხომ აღარა სწუხხარ, ჩემო მფლობელო?—ჰკითხა ქალმა და ისევ ნდობით ჩააცქერდა თვალებში თავის საყვარელს.

— ილისს, განა შემიძლიან მწუხარებას მივცე თავი, როდესაც შენ ჩემთანა ხარ?—უპასუხა მირბალმა, მოჰხვია ხელი და ნაზად აკოცა ხშირ თმაზე, რომელსაც უმშვენებდა ოქროს ჯიღა.—როდესაც შენ ჩემთანა ხარ, ასე მგონია ყველაფერი ჰყვავის და გარშემო სურნელებასა ჰფენს, ყველაფერი იმღერის მხიარულ ხმაზე. როდესაც ვერა გხედავ—გული მიკვნესის და საშინელ მარტოობასა ვგრძნობ—როდესაც შენ ჩემთანა ხარ ჩემი შრომის ნამყოფი ყველაფერი ლამაზი მეჩვენება, ვხედავ მათში სიფაქიზეს და სიმშვენიერეს, ისეთს, როგორსაც წინედ ვერც კი ვამჩნევდი, რადგან თვალები ბინდით მქონდა დაფარული და სევდისაგან გული მწუხარებით მოცული.

— რაზედა სწუხხარ, მირბალ, მითხარი?

— დიდხანს მოუნდეში, ჩემო ღვთაებავ!

განა ჩვენ დროში ცოტა მიზეზი აქვს თვითეულ მცხოვრებს ტირისას, რომ სევდიანად გრძნობდეს თავსა? დიდებული ტირი ხომ ისეთ განსაცდელს განიცდის ეხლა, ისეთ მძიმე დროს, რომლის მსგავსიც მას არას დროს არ უნახავს.

„ო, ღმერთებო!

„იცი, ილისს, რაზე ვოცნებობ ხშირად ამ სულის შემხუთველ ღამეებში, როდესაც უზომო დაღლილობასა ვგრძნობ, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარება ჩემს თვალებს?

„ლოგინი ცხელია, თითქოს ოშხივარი ასდისო. გავაღებ სარკმელს, კარებს, გავარდები გიჟივით აივანზე. გარე მიძინებული ღამის ნიავი ოდნავ არხევს სიცხისაგან ღონე მიხდილ ყურძნის ფოთლებს.

„ღამის დედოფალი, ფერმკრთალი მთვარე—ასტარტა, მისცურავს ცაზე და ვერცხლებრივ სხივებს უხვად უგზავნის მიძინებულ ზღვას. სხივების ლანდი ვერცხლის ზოლსა ჰფენს ზღვის სივრცეზე ცის დასავლამდის, თითქოს ვერცხლის საქანაო ხიდი იყოს გაბმული.

„იქ, გარედ, ჰაერი სუფთა და გრილია. ასე გგონია ფანჯრის და კარების გაღება კმარა, რომ ოთახში შემოიჭრას სუფთა ჰაერი, მაგრამ გადის საათი, მეორე, ვბრუნდები ოთახში და ისევ მიპყრობს ეს სულის შემხუთხველი სიცხე, თითქო იატაკის ქვეშ გახურებული ქურები იდგეს.

„და იი, ილისს, ასეთ უძილო ღამეებში უნებლიედ ოცნებობ, რაღაც სხვაზედ, მიილტვი სადაც, გინდა მოშორდე ყველაფერს, რაც კი გარს გახვევია!

„ბევრჯელ მიფიქრნია, ილისს, თუ რა კარგი იქნებოდა, რომ მიწის შვილნიც ფრინველივით თავისუფლები იყვნენ, რომ ჩვენც იმათსავით ფრთები გვქონდეს და შეგვეძლოს აფრენა ცის კიდემდის, გაქროლვა ქარზედ უმალ იქ, სადაც მიილტვის ჩვენი ოცნება.

„ო, ილისს! ნუთუ შენ არასოდეს არ გიფიქრნია, რომ შეგიძლიან ფრენა?

დიახ, მიფიქრნია, ჩემო მეგობარო და ეხლაც ხან და ხან ვფიქრობ.

— ამბობენ, ჩემო ილისს, ოდესღაც ერთმა გლინელმა, ტყვეობაში მყოფმა, მოიოსტატა ფრთების გაკეთება და შეაწება ფრინველების ფრთები. მაგრამ ეს ზღაპარია. მე ელინელებზე ნაკლებ არ მესმის ხანქანების ხელობა. მეცა ვსინჯე ფრთების გაკეთება, მაგრამ ისეთი მძიმე გამოდგა, რომ ათჯელ მეტად ვერ ავიქნიე მაღლა და თანაც საშინელი დაღალულობა ვიგრძენ მთელ სხეულში. ამასთანავე ფრთები ისე პატარები გამოდგა, რომ ვერც ერთხელ დედა-მიწას ვერ მოაშორეს ჩემი ტანი, მაღლა ვერ ამწიეს. სჩანს ფრთები ბევრად დიდები უნდა გამეკეთებინა; მაშინ ხომ ერთობ მძიმე იქნებოდა და ორჯელაც ვერ შევძლებდი იმათ აქნევას.

(შემდეგი იქნება)

ეფ. მესხი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.